# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2014-10/3

თბილისი „3“ „თებერვალი“ 2014 წ.

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო" შემდგომში „შემსყიდველი“, უფროსის გია თვალავაძის სახით, და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „იბერია ტექავტომოტივი1"-ს დირექტორის ლაშა მიგინეიშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“.

## 2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვის“ გამოყოფილი 2014 წლის ასიგნებების ფარგლებში, საბურავების შესყიდვაზე (კლასიფიკატორის კოდი 34351100) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი დ.ღ.გ.-ს ჩათვლით 1280 (ერთი ათას ორას ოთხმოცი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

## 3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, რაოდენობა, ერთეულის და საერთო ფასი განისაზღვრება ცხრილის შესაბამისად:

| საქონლის აღწერილობა | რაოდენობა | განზომილების ერთეული | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| ახალი საბურავი ზომა 205/65 R-15 | 4 | ცალი | 130 | 520 |
| ახალი საბურავი, ზომა-205/70 R-15 | 4 | ცალი | 190 | 760 |
| სულ ჯამი: | | | | 1280 |

3.2. საქონლის ღირებულება მოიცავს საბურავების მოხსნა-დაყენების ღირებულებას.

## 4. საქონლის მიწოდების პირობები

### 4.1. ვადები:

4.1.1. საქონლის მოწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 დღეში.

### 4.2. ადგილი:

4.2.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მისამართზე: ქ. თბილისი მარშალ გელოვანის ქ. 36

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის

საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი №1) სამ ეგზემპლარად.

## 6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.
6.2. ანგარიშსწორება იწარმოებს საქონლის მოწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის (დანართი №1), საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედდებულის საფუძველზე, წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღისა.

## 7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.1.1. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის" საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
7.1.2. უზრუნველყოს მოწოდებულ საქონელზე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან

## 8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

## 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის

ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

## 12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 14. ინსპექტირების პირობები

ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი: სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს" ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ელგუჯა კალანდარიშვილი.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 31 მარტის ჩათვლით.

## 16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (-- გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
| --- | --- |
| სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო” | შ.პ.ს. „იბერია ტექავტომოტივი 1” ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ 36 |
| თბილისი, წერეთლის გამზ, №144 | ს.ს. „საქართველოს ბანკი” |
| ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური<br>ანგ 200122900<br>საიდენტიფიკაციო კოდი 205035120 | კოდი №BAGAGE22<br>ა/ა №GE29BG 0000 0001 5351 2100<br>ს/კ №236093473 |
| გია თვალავაძე<br>სააგენტოს უფროსი | ლაშა მიგინეიშვილი<br>დირექტორი |

დანართი #1

**სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვის" გამოყოფილი 2014 წლის ასიგნების ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების აქტი**

ქ. თბილისი „____" „___________" 2014 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, შემსყიდველი საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს" **უფროსი გია თვალავაძე**

და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი:

____________________________________________

(ორგანიზაციის სახელი)

____________________________________________

(ხელმძღვანელის თანამდებობა: სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ

2014 წ „--------" „-------" №----------- ხელშეკრულების პირობის შესაბამისად, მოწოდებულია საქონელი.

____________________________________________

(ხელშეკრულების თარიღი და ნომერი)

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს:

____________________________________________

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მოწოდებული საქონლის ღირებულებამ

შეადგინა:

____________________________________________

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია:

____________________________________________

ანაზღაურებულია:

____________________________________________

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

**საქონელი მიიღო:**

1. ხელმძღვანელი
2. პასუხისმგებელი შესრულებაზე

**საქონელი ჩააბარა:**

1. ხელმძღვანელი